www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2023 ივნისი

20.07.2023
www.geostat.ge

20.07.2023

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2023 წლის ივნისი

2023 წლის ივნისში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.3 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზეა ინდექსის 6.0 პროცენტიანი კლება.

2023 წლის მაისთან შედარებით ფასები 2.5 პროცენტით გაიზარდა **სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების** ჯგუფზე, რამაც 0.16 პროცენტული პუნქტით იქონია ზეგავლენა ჯამური ინდექსის ცვლილებაზე. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების მატება ლითონის მადნებზე (2.9 პროცენტი). ამავე პერიოდში ფასები შემცირდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფზე (-0.9 პროცენტი), რამაც -0.72 პროცენტული პუნქტი შეიტანა მთლიანი ინდექსის ცვლილებაში. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების კლება ძირითად ლითონებზე (-8.6 პროცენტი). გარდა ამისა, ფასების 3.1 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა **ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის** ჯგუფზე, რომლის წვლილმაც თვის ჯამური ინდექსის ცვლილებაში 0.27 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება:** ფასები შემცირებულია 8.1 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე -0.58 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში აღსანიშნავია ფასების კლება ლითონის მადნებზე (-13.1 პროცენტი);

- **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები შემცირდა 5.8 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის კლებაზე -4.79 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები შემცირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები (-36.0 პროცენტი) და ძირითადი ლითონები (-22.3 პროცენტი);

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი:** ფასები შემცირდა 4.0 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის წლიურ ცვლილებაზე -0.4 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა;

- **წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით:** ფასები შემცირდა 8.5 პროცენტით, რამაც მთლიან ინდექსზე -0.23 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა.

20.07.2023

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2023 წლის ივნისი

კოდი	ჯგუფები	2023 წლის მაისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2022 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**99.7**	**-0.27**	**94.0**	**-6.00**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**102.5**	**0.16**	**91.9**	**-0.58**
05	ნახშირი და ლიგნიტი	98.8	0.00	101.2	0.00
06	ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი	103.3	0.00	64.9	-0.06
07	ლითონის მადნები	102.9	0.15	86.9	-0.74
08	სამთო-მოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქტები	100.9	0.01	117.4	0.21
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**99.1**	**-0.72**	**94.2**	**-4.79**
10	კვების პროდუქტები	99.5	-0.12	98.6	-0.30
11	სასმელები	101.6	0.29	99.4	-0.12
12	თამბაქოს პროდუქტები	100.0	0.00	100.0	0.00
13	ტექსტილი	100.6	0.00	81.3	-0.06
14	ტანსაცმელი	100.2	0.00	110.5	0.21
15	ტყავი და ტყავის ნაწარმი	97.6	-0.01	94.5	-0.02
16	მერქანი და მერქნის და კორპის ნაწარმი, ავეჯის გარდა; ნაკეთობები ჩალის და წნული მასალებისგან	99.7	0.00	91.1	-0.06
17	ქაღალდი და ქაღალდის პროდუქტები	100.9	0.01	82.7	-0.16
18	მომსახურება ბეჭდვით და ჩანაწერების აღწარმოებით	93.3	-0.06	106.3	0.05
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	100.5	0.00	62.3	-0.17
20	ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	105.4	0.18	64.0	-1.43
21	ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტები და ფარმაცევტული პრეპარატები	99.3	-0.01	79.4	-0.36
22	რეზინის და პლასტმასის პროდუქტები	101.6	0.04	92.7	-0.18

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.07.2023

კოდი	ჯგუფები	2023 წლის მაისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2022 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
23	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები	100.9	0.07	103.5	0.28
24	ძირითადი ლითონები	91.4	-1.05	77.7	-2.12
25	ლითონის მზა ნაწარმი, მანქანების და მოწყობილობების გარდა	98.3	-0.04	83.5	-0.43
27	ელექტრომოწყობილობები	95.9	-0.02	105.0	0.04
28	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	99.0	0.00	89.3	-0.01
30	სხვა სატრანსპორტო მოწყობილობები	100.8	0.00	100.9	0.00
31	ავეჯი	99.1	-0.01	106.7	0.07
32	სხვა სამრეწველო საქონელი	102.4	0.01	92.1	-0.02
33	მომსახურება მანქანების და მოწყობილობების რემონტით და მონტაჟით	100.0	0.00	101.6	0.01
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**103.1**	**0.27**	**96.0**	**-0.40**
35	ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი	103.1	0.27	96.0	-0.40
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**100.4**	**0.01**	**91.5**	**-0.23**
36	ბუნებრივი წყალი, მომსახურება წყლის გაწმენდით და მომარაგებით	100.0	0.00	100.0	0.00
38	მომსახურება ნარჩენების შეგროვებით, დამუშავებით და მოცილებით; მომსახურება მასალების უტილიზაციით	101.1	0.01	77.4	-0.23

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



20.07.2023

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge